სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორს
ქალბატონ თამარ მახარაშვილს

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტის: ქეთევან ჯანელიძის ანგარიში

ანგარიში

ხელშეკრულება # 259(20.01.2021) დამევალა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 აგვისტოს №768170 - ,,ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ - ბრძანების (ცვლილება - 2021 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება №1144682) საფუძველზე შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2021 წლის 10 დეკემბერს (ცენტრში რეგისტრაციის № 1350962) ცენტრში წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის შესწავლა, ანგარიშის მომზადება და პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე წარდგენა.

ჩემს მიერ შესწავლილ იქნა ყველა დოკუმენტი, რომელიც გამოგზავნილ იქნა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, რომლის საფუძველზე ცხრილის სახით წარმოგიდგენთ უნივერსიტეტის რექტორის, მეუფე სპირიდონის მიერ 09.12.2021 წ. #01–03/28 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის პუნქტობრივ შეფასებას.

ამონარიდი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმიდან						ექსპერტის შეფასება	
1	2	3	5	6	7	8	9
იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერა	სტანდარტის და კონმპონენტის ნომერი	შესაბამისობის ტიპი (მეტწილი, ნაწილობრივი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დრო შეფასების მომენტიდან დასრულე-ბამდე	აღწერა	შეფასება

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემული პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ზოგ შემთხვევაში არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას	3.1.1.1 ინდიკატორი	მეტწილი	11/23/2021	12/9/2021	16 დღე	წარმოდგენილია ბრძანებით № 01-03/29 (09 დეკემბერი 2021) დამტკიცებული ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, განმეორებითი შეფასება, გასაჩივრება, პროგრამის ცვლილების შემთხვევაში სწავლის დასრულება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სარგებლობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხები.	შეესაბამება

მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განისაზღვროს უფრო მკაფიოდ		მეტწილი	11/24/2021	30.02.2022	სამი თვე	დაწესებულების გეგმის თანახმად აღნიშნული პუნქტის შესრულების ვადად განსაზღვრულია30.02.22 წარმოდგენილი ვადა სრულიად საკმარისია სამუშაო აღწერილობების, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განისაზღვრისათვის.	მეტწილად შესაბამისია
თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იქნას შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა	4.1.1.1 ინდიკატორი	მეტწილი	11/25/2021	12/5/2021	10 დღე	დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელი პირის ხელშეკრულების ნიმუში, სადაც მითითებულია სამუშაოს სახე. კერძოდ, საგანში მითითებულია შემდეგი: „დასაქმებულის შრომით მოვალეობაში შედის ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოქმედი პრაქტიკოსი ექთანის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება (სალექციო კურსის წაყვანა, სალექციო კურსის თემატიკის, სტრუქტურის, ლიტერატურის პერიოდული განახლება სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად, სალექციო კურსის წარმართვის მეთოდების დახვეწა, სტუდენტებისათვის	შესაბამისია

						აკადემიური და ინტელექტუალური ხელმძღვანელობის გაწევა, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის ნორმებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღრვული მოთხოვნის გათვალისწინება).“ **რეკომენდაცია**: სასურველია ხელშეკრულებაში იყოს მითითებული თუ რა მოდულს განახორციელებს ესა თუ ის პირი, შესაბამისად ,ხელშეკრულების შაბლონში უნდა ჩანდეს მოდულის მითითების ადგილი.	
უნივერსიტეტის შინაგანაწესი სრულად მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან	4.1.1.2 ინდიკატორი და 4.1.2.1 ინდიკატორი	მეტწილი	11/23/2021	12/9/2021	16 დღე	დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ ბრძანებით № 01-03/29 09 დეკემბერი 2021 წელი დამტკიცებული ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი, რომელიც შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან	შესაბამისია

თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში მოხდეს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების რიგი არსებითი პირობების ასახვა.		მეტწილი	11/25/2021	12/5/2021	10 დღე	დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელი პირის ხელშეკრულების ნიმუში, რომელშიც ყველა არსებითი პირობა გათვალისწინებულია.	შესაბამისია
უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის/პირების ფუნქციებში გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი	4.1.1.3. ინდიკატორი	მეტწილი	11/23/2021	12/9/2021	16 დღე	დაწესებულებამ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაასწორა ჩანაწერი, რომლის თანახმად ხარისხის სამსახური ახდენდა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას და ეს აქტივობა დაევალა ფაკულტეტის დეკანს.	შესაბამისია
უნივერსიტეტის საქმიანობა არ არის უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით	5.1.1.1. ინდიკატორი	მეტწილი	12/3/2021	2/3/2022	ორი თვე	დაწესებულებას აღნიშნულთან დაკავშირებით დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია	
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები არ არის ხელმისაწვდომი შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის	5.1.1.2. ინდიკატორი	მეტწილი	12/8/2021	1/20/2022	თვენახევარი	დაწესებულების რექტორის ბრძანების თანახმად (მოძრავი პანდუსების მოწყობის ბრძანება 01–03/27, 8.12.2021) პანდუსების მოწყობის ვადად განსაზღვრული იყო 20 იანვარი 2022 წლის. დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტომასალა, რომელზეც დაფიქსირებულია აკეცილი ხის პანდუსები.	შესაბამისია

შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით	5.1.1.4. ინდიკატორი	ნაწილობრივი	11/23/2021	2023 წლის მაისი	18 თვე	დაწესებულებამ წარმოადგინა შუახევის მუნიციპალიტეტის პასუხი გაზის მოწოდების ვადის შესახებ. (03.12.2021 წლის წერილი #100–1002133743, წერილის პინი 6438) წერილის თანახმად ხიჭაურში გაზიფიცირება მოხდება 2023 წელს. დაწესებულების განცხადებით გაზის შემოსვლამდე მოეწყობა ცენტრალური გათბობის შიდა ქსელი და დამონტაჟდება ბატარეები.უნივერსიტეტს ცენტრალური გათბობა დასრულებული ექნება 2023 წლის მაისში, როცა გაზი შემოვა ხიჭაურში.	ნაწილობრივ შესაბამისია
უნივერსიტეტში არ მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები და უნივერსიტეტს არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, უნივერსიტეტს არ აქვს შრომის უსაფრთხოების დებულება. უნივერსიტეტს არ აქვს ჩატარებული შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში გატარებული პრევენციული ღონიძიებები, დასაქმებულებისათვის	5.1.1.5. ინდიკატორი	ნაწილობრივი	12/3/2021	2023 წლის მაისი	18 თვე	დაწესებულებაში შექმნილია შრომის უსაფრთხოების განყოფილება, დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ ბრძანებით № 01-03 (26 08 დეკემბერი 2021 წელი) დამტკიცებული წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების განყოფილების დებულება და ბრძანებით № 01-03(26 08 დეკემბერი 2021 წელი)დამტკიცებული „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის	შესაბამისია

სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარების მტკიცებულებები.						შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები“ ასევე წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების კვლიფიციურ-სერთიფიცირებულ სპეციალისტთან გაფრმებული სამ თვიანი ხელშეკრულება, რომლის თანახმად სამ თვეში გადაიხედება პირობები. დაწესებულებამ დაიქირავა ერთჯერადად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, (სანამ შტატში აიყვანდნენ) და 2021წლის 17 დეკემბერს, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: საგანგებო სიტუაციების მართვის თემაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილ შენობაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი.	5.1.1.8. ინდიკატორი	მეტწილი	12/8/2021	1/20/2022	თვენახევარი	ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის ბრძანება 01–03/27, 8.12.2021.	ფოტოები ისეთი რაკურსითაა წარმოდგენილი რომ ჭირს დასკვნის გაკეთება

საევაკუაციო გასასვლელის რაოდენობა და მდგომარეობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს; არ არის წესრიგში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება და ონკანები; არ არის დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლის და ევაკუაციის მართვის სისტემა; საევაკუაციო გეგმები არ არის სტანდარტის შესაბამისი, არ არის სათანადო რაოდენობის ცეცხლმაქრები; უნივერსიტეტის ელექტრომეურნეობის მდგომარეობა არ შეესაბამება მოთხოვნებს	5.1.2.1. ინდიკატორი	ნაწილობრივი	12/2/2021	2023 წლის მაისი	18 თვე	როგორც უნივერსიტეტი შესაბამისობის გეგმაში აღნიშნავს, მან მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს,წერილი # 01–16/68. 2.12.2021. ტექნიკურ შემოწმებაზე. მათ მიერ ჩატარდა ტექნიკური შემოწმება და შედგა "სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი #209. თბილისი,03/12.2021. ვადების გარეშე. უნივერსიტეტიდან გაიგზავნა ხელახალი წერილი # 01–16/74. 9.12.2021. #209 აქტის შესრულების ვადების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაცია დაწესებულებას არ გამოუგზავნია, თუმცასავარაუდოდ გეგმაში მითითებულ დროში შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება.	ნაწილობრივ შესაბამისია

უნივერსიტეტს არა აქვს შემუშვებული და კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა. დაწესებულებას არა აქვს განსაზღვრული საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, მათი ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები, არა აქვს ჩატარებული ხანძრსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟები	5.1.2.3. ინდიკატორი	მეტწილი	12/2/2021	4/8/2022	5 თვე	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ვადა არ არის გასული და შესაბამისად, არც მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან 5 თვიანი შესრულების ვადაა მითითებული შეიძლება ჩაითვალოს მეტწილ შესაბამისობად	მეტწილადაა შესაბამისი
უნივერსიტეტში არაა უზრუნველყოფილი პერსონალურ მონაცემთა დაცვა	5.2.1.3. ინდიკატორი	მეტწილი	11/29/2021	12/8/2021	ორი კვირა	დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ ბრძანება № 01-03/26 08 დეკემბერი 2021 წელი, რომლითაც დამტკიცდა „ ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და დაცვის მექანიზმები“ აღნიშნული დოკუმეტით პერსონალურ მონაცემებად განსაზღვრულია: 1.1 სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გასაჯაროება; 1.2. ვიდეოთვალთვალი;	შესაბამისია

						1.3. ელექტრონულ პროგრამასა და სისტემაში მონაცემების აღრიცხვა, ან მოძიება; 1.4. სხვა პირებისთვის, ან ორგანიზაციებისთვის მონაცემების გამჟღავნება; 1.5. პირადი საქმის წარმოება; **პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველს** წარმოადგენს უშუალოდ პერსონალის თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. მექანიზმის არსებობა უნდა გახდეს მისი შესრულების საფუძველი, რაც უნდა შემოწმდეს გარკვეულ დროში.	
სასწავლო უნივერსიტეტი არ იყენებს ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემას	5.2.2.2. ინდიკატორი	მეტწილი	12/2/2021	2/4/2022	ორი თვე	დაწესებულებამ წარმოადგინა საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისადმი მიწერილი წერილი საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (edocument)-ის შესყიდვის თაობაზე; განცხადება სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების ელექტრონული შტამპის გაცემის შესახებ , ასევე ამ მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი	შესაბამისია
უნივერსიტეტს არ წარუდგენია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი	5.2.3.4. ინდიკატორი 5.2.3.5. ინდიკატორი	მეტწილი	11/29/2021	12/8/2021	10 დღე	დაწესებულებამ წარმოადგინა და უნივერსიტეტის ვებ-გვედზეც გამოაქვეყნა საგანმანათლებლო პროგრამების 2021 წლის კატალოგი, რომელშიც არის ინფორმაცია სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. **რეკომენდაცია:**	შესაბამისია

						სასურველია კატალოგი მოიცავდეს ინფორმაციას, შეფასების წესის შესახებ. ასევე მოიცავდეს დამატებით ინფორმაციას : • დაწესებულების ისტორია; • სწავლების საფასური; • აკადემიური კალენდარი; • ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ; • პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი; • ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში; • პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში; • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა. ეს ყოველივე კატალოგს მიანიჭებს საკუთრივ იმ ფუნქციას რისთვისაც იქმნება ეს დოკუმენტი, ანუ გახდება ინფორმაციული და ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირებს სწორი არჩევანის გაკეთებაში. ასევე, **სასურველია,** დაწესებულებამ განათავსოს ვებ-გვერდზე 2022 წლის კატალოგიც, ვინაიდან ძალიან მალე იწყება მიღების გამოცხადების პერიოდი.	

დამოუკიდებელი დოკუმეტის სახით შემუშავდეს პროფესიული სწავლების ბიუჯეტი	5.3.1.1. ინდიკატორი	მეტწილი	12/1/2021	12/28/2021	28 დღე	დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება უნივერსიტეტისპროფესიულის განათლების ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ბრძანება #01–03/26. 01.12.2021	შესაბამისია
საოპერაციო ხარჯები არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსით	5.3.1.2. ინდიკატორი	მეტწილი	12/1/2021	1/15/2022	თვენახევარი	დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება უნივერსიტეტისპროფესიულის განათლების ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ბრძანება #01–03/26. 01.12.2021	შესაბამისია
უნივერსიტეტს არ წარუდგენია ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტი ან ფინანსური ანგარიში/ანალიზი	5.3.1.3. ინდიკატორი	მეტწილი	12/8/2021	12/25/2021	ერთი კვირა	დაწესებულებას არ წარმოუდგენია ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტი, პროგრამებზე არც მინიმალური რენტაბელობის ზღვარია განსაზღვრული, რაც საშუალებას მოგვცემდა უფრო ნათლად გვემსჯელა ამ საკითხზე	
უნივერსიტეტმა ვერ წარადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების კვლევის მასალები, ან შეფასების შედეგებზე რეაგირების რაიმე მტკიცებულება	5.3.1.4. ინდიკატორი	მეტწილი	12/8/2021	12/25/2021	ერთი კვირა		
უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“და „ბუღალტრული აღრიცხვა“ „ ჩარიცხვის პროცედურები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული	2.1.1.2. ინდიკატორი	მეტწილი	11/23/2021	12/9/2021	16 დღე	წარმოდგენილია ბრძანებით № 01-03/29 (09 დეკემბერი 2021) დამტკიცებულია(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოსწმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტშიმოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისსასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" რომელშიც გაწერილი ჩარიცხვის პროცედურები	შესაბამისია

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან.						შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან.	
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნ ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება ბრძანება N58/ნ 20/05/2020 და "აღმზრდელის" ჩარჩო დოკუმენტში მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა - "უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში".დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებები არ არის განხორციელებული და კვალიფიკაციად განსაზღვრულია „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში”. უნდა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან.	2.1.1.8. ინდიკატორი	მეტწილი	11/23/2021	12/9/2021	16 დღე	პროგრამაში შევიდა ცვლილება, შესწორებული სახით დამტკიცდა რექტორის 09.12.2021 წლის № 01-03/29 ბრძანებით. და მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში	შესაბამისია

უნივერსიტეტს არ მიუწოდებია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ ბიუჯეტი. ვერ დადგინდა არის თუ არა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა	2.2.1.7. ინდიკატორი	მეტწილი	12/1/2021	1/15/2022	თვე ნახევარი	დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება უნივერსიტეტისპროფესიულის განათლების ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ბრძანება #01–03/26. 01.12.2021 სადაც სამივე პროგრამის ბიუჯეტი იდენტურია და მითითებულია 35000 ლარი.	

თარიღი: 15 თებერვალი, 2022 წ.

პატივისცემით,

ქეთევან ჯანელიძე